

შპს მედიონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	20
4. ძირითადი საშუალებები	21
5. მარაგები	22
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
7. წინასწარ გადახდილი გადასახადები და საგადასახადო ვალდებულება	23
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
9. მიღებული სესხები	23
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
11. შემოსავალი	24
12. სხვა შემოსავლები	24
13. სხვა საოპერაციო ხარჯები	24
14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	25
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მედისონ ჰოლდინგის მენეჯმენტს და დამფუძნებლებს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ ჩართულები ვიყავით შპს მედისონ ჰოლდინგის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის აუდიტში, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ინფორმაციაზე. მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის აბზაცში მოცემული საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჯგუფს არ ჩაუტარებია 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ინვენტარიზაცია. ჯგუფის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულებები მარაგების რაოდენობების და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მარაგები ზემოთ მოცემული თარიღებისთვის წარმოდგენილია შესაბამისად 749, 088, 485, 157 და 100, 677 ლარის ღირებულებით. ამ გარემოების გამო, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ჯგუფს არ ჩაუტარებია 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები ინვენტარიზაცია. ჯგუფის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების რაოდენობების და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები ზემოთ მოცემული თარიღებისთვის წარმოდგენილია შესაბამისად 2, 468, 490, 2, 684, 265 და 1, 625, 144 ლარის ღირებულებით. ამ გარემოების გამო, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითადი საშუალებებთან და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ჯგუფმა ვერ მოგვაწოდა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაცია ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ შევძელით მიგველო მტკიცებულებები ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შეადგენს 8, 006, 232 ლარს. ამ გარემოების გამო, ჩვენ ვერ განგვესაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

როგორც მე-4 შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფი მიწების და შენობების მნიშვნელოვან ნაწილს იყენებს საიჯარო შემოსავლების მისაღებად. ბასს 40-ის მოთხოვნების შესაბამისად ჯგუფი არ წარადგენს ასეთ აქტივებს საინვესტიციო ქონებად, რაც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან გადახვევას. აქედან გამომდინარე, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ძირითად საშუალებებთან და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით შევძელით მიგველო შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთის დასადასტურებლად, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ასახულია შესაბამისად 1,747,397, 760,860 და 741,783 ლარის ღირებულებით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ამ თანხებთან და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით შევძელით მიგველო შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთის დასადასტურებლად, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ასახულია შესაბამისად 622,312, 1,276,307 და 725,737 ლარის ღირებულებით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ამ თანხებთან და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

ჯგუფს არ აქვს დანერგილი სათანადო შიდა კონტროლის პროცედურები გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. კერძოდ, შიდა კონტროლი პროცედურები არ ანეიტრალებს გაწეული, მაგრამ აღურიცხავი მომსახურების რისკს. აქედან გამომდინარე, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება აღურიცხავ შემოსავლებთან და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.

ჯგუფმა ვერ მოგვაწოდა დეტალური კალკულაცია და შესაბამისი დოკუმენტები პერსონალის სახელფასო ხარჯის დარიცხვასთან დაკავშირებით, რომელიც სრული შემოვლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია 2,669,658 და 4,579,046 ლარის ღირებულებით 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, შესაბამისად. ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით ვერ შევძელით მიგველო შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები პერსონალის სახელფასო ხარჯის დარიცხვასთან დაკავშირებით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება პერსონალის სახელფასო ხარჯის და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის ფორმირებაში.

როგორც ეს წარდგენილია მე-6 შენიშვნაში, ჯგუფი 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ფლობდა ვადაგადაცილებულ მოთხოვნებს ჯამური ღირებულებით შესაბამისად 1,180,880, 370,883 და 175,714 ლარის. ჯგუფს არ ჩაუტარებია ვადაგადაცილებული მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი და არ შეუფასებია შესაბამისი გაუფასურების რეზერვი, რაც წარმოადგენს გადახვევას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება მოთხოვნების და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თუმცა, მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ამსახველ აზრებში აღწერილი საკითხის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

„ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

17 დეკემბერი, 2018 წელი

შპს მედიკონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	9,371,322	9,617,848	8,006,232
არამატერიალური აქტივები		29,991	21,533	15,203
		9,401,313	9,639,381	8,021,435
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	5	749,088	485,157	100,677
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,323,456	1,462,590	1,008,873
წინასწარ გადახდილი გადასახადები	7	126,046	193,077	343,039
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	379,266	253,439	235,169
		3,577,856	2,394,263	1,687,758
სულ აქტივები		12,979,169	12,033,644	9,709,193
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		3,827,186	3,832,186	3,832,186
გაუნაწილებელი მოგება		(1,797,880)	(2,497,205)	(2,414,169)
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი		2,029,306	1,334,981	1,418,017
არამაკონტროლებელი წილი		(9,460)	523,783	752,037
სულ კაპიტალი		2,019,846	1,858,764	2,170,054
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9	5,879,184	5,518,137	4,540,721
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,587,544	1,276,307	725,737
საგადასახადო ვალდებულებები	7	402,600	241,195	280,003
ანარიცხები	7	360,000	360,000	360,000
		8,229,328	7,395,639	5,906,461
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9	2,729,995	2,779,241	1,632,678
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12,979,169	12,033,644	9,709,193

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 17 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ თამარ ბუწაშვილი

ფინანსური დირექტორი _____ ბექა ანდრიაძე

10 - 29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს მედიკონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
საოპერაციო შემოსავალი			
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	9,433,916	7,217,866
საიჯარო შემოსავალი		1,210,474	951,555
სხვა შემოსავალი	12	188,603	98,516
		10,832,993	8,267,937
საოპერაციო ხარჯები			
მარაგების ცვლილება		403,988	(526,627)
შემენილი მარაგების თვითღირებულება		(1,601,649)	(502,078)
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		(109,216)	(25,487)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(5,832,287)	(4,579,046)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,109,127)	(889,092)
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(1,497,374)	(1,661,605)
		(9,745,665)	(8,183,935)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		1,087,328	84,002
საპროცენტო ხარჯი		(730,495)	(712,420)
წმინდა ზარალი კურთა შორის სხვაობიდან		(190,751)	(153,248)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		166,082	(781,666)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		166,082	(781,666)
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)			
მისაკუთვნებელი:			
- სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		699,325	(83,036)
- არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(533,243)	(698,630)
მთლიანი სრული შემოსავალი		166,082	(781,666)

10 - 29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს მედიონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ მესაკუთრეთა კაპიტალი	არამაკონტ როლებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრისთვის	3,832,186	(2,414,169)	1,418,017	752,037	2,170,054
მთლიანი სრული ზარალი	-	(83,036)	(83,036)	(698,630)	(781,666)
ინვესტიციის ზრდა	-	-	-	470,376	470,376
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	3,832,186	(2,497,205)	1,334,981	523,783	1,858,764
მთლიანი სრული შემოსავალი	-	699,325	699,325	(533,243)	166,082
კაპიტალის შემცირება	(5,000)	-	(5,000)	-	(5,000)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	3,827,186	(1,797,880)	2,029,306	(9,460)	2,019,846

10 - 29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს მედიონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები
 ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის
 (ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფულადი სახსრების საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		166,082	(781,666)
კორექტირებები:			-
ცვეთა და ამორტიზაცია	4	1,109,127	889,092
კუსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება		190,751	153,248
საპროცენტო ხარჯი		730,495	712,420
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	6	40,736	-
დამფინანსებლის მიერ დაკორექტირებული ანაზღაურებაზე წარდგენილი მოთხოვნები		-	373,659
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		2,237,191	1,346,753
სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე			
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში			-
მარაგების ზრდა		(263,931)	(384,481)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(862,049)	(373,961)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		67,031	236,520
წინასწარ გადახდილი გადასახადების შემცირება (ზრდა)		244,814	(492,525)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		161,405	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,584,461	332,306
გადახდილი პროცენტი		(342,719)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,241,742	332,306
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			-
ძირითადი საშუალების შეძენა		(815,299)	(2,029,685)
არამატერიალური აქტივის შეძენა		(8,458)	(8,118)
საკუთარი კაპიტალის შემცირება		(5,000)	-
მფლობელთა შენატანი		-	470,376
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობისთვის		(828,757)	(1,567,427)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			-
მიღებული სესხების ზრდა		556,130	2,027,022
მიღებული სესხების შემცირება		(841,727)	(736,406)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობისთვის		(285,597)	1,290,616
წმინდა ზრდა ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		127,388	55,495
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	253,439	235,169
კუსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(1,561)	(37,225)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	8	379,266	253,439

10-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს მედიკონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მედიკონ ჰოლდინგი (შემდგომში „დედა კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2011 წლის დეკემბერში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შრომის ქ. #6.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ლაბორატორიული, ამბულატორიული და სტომატოლოგიური მომსახურების გაწევა ისეთ სამედიცინო სფეროებში, როგორიცაა: გამაჯანსაღებელი თერაპია, დერმატოლოგია და ვენეროლოგია, ინექცია, ენდოკრინოლოგია, ნერვოლოგია, კარდიოლოგია, ონკოლოგია, ორთოპედია და ტრავმატოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, რევმატოლოგია, ოფთალმოლოგია, ულტრაბგერითი სონოგრაფია, რადიოლოგია, უროლოგია, ორსულთა კონსულტირება, ქირურგია, ლაბორატორია და ბაქტერიოლოგია, სკრინინგი, თერაპია, ალერგოლოგია, პედიატრია და ა.შ.

კომპანიის მეწილეებს წარმოადგენდნენ:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
გიგა სებუა	45%	45%	45%
ვლადიმერ ბაკურაძე	30%	30%	30%
მარინა გოგიშვილი	25%	25%	25%
	100%	100%	100%

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია თბილისში ფლობდა სამ სამედიცინო ცენტრს შემდეგ მისამართებზე: ვაჟა-ფშაველას #83/11, გობრონიძის ქ. #27, კალოუზნის ქ. #12

კომპანიის გენერალური დირექტორია თამარ ბუწაშვილი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დედა კომპანიასთან ერთად მოიცავს შემდეგი შვილობილ კომპანიებს (შემდგომში „ჯგუფი“), რომლებიც საქართველოში ეწევიან საქმიანობას:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016	საოპერაციო საქმიანობა
შპს თბილისის #1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი	100%	100%	100%	ამბულატორიული მომსახურება
შპს ჰოლანდიურ-ქართული სარეაბილიტაციო ცენტრი	60%	60%	60%	ქონებისა და აღჭურვილობის საოპერაციო იჯარით (ქვეიჯარით) გაცემა სტაციონარული,
□ შპს კარდიო რეაბილიტაციის ცენტრი	75%	75%	75%	ამბულატორიული და სარეაბილიტაციო მომსახურება
შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი	51%	51%	51%	ონკოლოგიური და დიაგნოსტიკური მომსახურება
შპს ფარმატეკა	100%	100%	-	აფთიაქი (ფარმაცევტული მომსახურება)
შპს თბილისის #2 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი	-	-*	100%	ამბულატორიული მომსახურება

*2016 წლის 1 ივნისს დადებული შეთანხმების თანახმად კომპანიამ მოახდინა საკუთარი შვილობილი კომპანიის - შპს თბილისის #2 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის (100%) შერწყმა.

2017 წლის 4 აპრილს შპს ჰოლანდიურ-ქართული სარეაბილიტაციო ცენტრმა სხვა შპს-სთან ერთად დაარსა შპს ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტალი, რომელსაც 2017 წლის 31 დეკემბრისთვის არ ჰქონდა თავისი ძირითადი საქმიანობა დაწყებული.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის მიერ ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი.

ფასს-ზე გადასვლის თარიღისათვის, ჯგუფს არ გამოუყენებია ფასს-1-ის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2016 წლის 1 იანვრამდე ჯგუფი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, ფასებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2016 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები, ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. მოცემული სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები.

2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დამატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნებია:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა, საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლებით”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოადგენს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები, ასევე, ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.
- **გაუფასურება.** ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარება წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტის სავალდებულო გამოყენება ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 - ლიზინგი, IFRIC 4 - განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განსხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან.

ჯგუფმა შეაფასა და თვლის რომ ახალი სტანდარტები, ფასს 15 და ფასს 9 მომავალში არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფი ფასს 16-ის გავლენის შეფასების პროცესშია, რადგან მან შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის მომავალ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზნევისთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს მშობელი კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940
კურსი 2016 წლის 1 იანვრისთვის	2.3949	2.6169

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარჩებებით. ჯგუფი შემოსავალს აღიარებს, როდესაც დაკმაყოფილდება ქვემოთ აღწერილი თითოეული ძირითადი შემოსავლის წყაროს აღიარების კრიტერიუმები. ჯგუფის შეფასება ეყრდნობა წარსულ გამოცდილებას რომელიც ითვალისწინებს მომხმარებლის ტიპს, ოპერაციის შინაარსს და თითოეული გარიგების სპეციფიკურ საკითხებს.

ა) პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ბ) მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

შენობა-ნაგებობები	20
აღჭურვილობა და დანადგარები	3 - 10
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	იჯარით სარგებლობის პერიოდი
სხვა	3 - 10

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას აკუმულირებულ ამორტიზაციას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ჯგუფის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს შეზღუდული მომსახურების ვადა და მათზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

ჯგუფის მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგის შემენის დანახარჯები მოიცავს: მათი შემენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯებში. ჯგუფი ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებას. მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება. ჯგუფის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. ჯგუფი არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები სამ თვემდე ვადით მქონე აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მიღებული სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით.

ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

რეალური ღირებულებით შეფასება

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის წევრების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება თითოეული კომპანიის წესდებით. კომპანიების წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ განმარტებულია, როცა მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. თუ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა მოხდება, მაშინ აქტივები და მასთან დაკავშირებული შემოსავლები აღიარდება ფინანსური ანგარიშგებაში იმ პერიოდში. როდესაც მოხდა შეფასებების ცვლილება.

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფაქტორებიდან: ა) ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი); ბ) კანონმდებლობა; ან გ) სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადები.

ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

შპს მედიკონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	იჯარის კეთილმოწყობა	აღჭურვილობა და დანადგარები	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	სხვა	სულ
1 იანვარი 2016	678,747	5,209,856	-	1,931,411	937,673	370,720	9,128,407
შემოსვლა	-	913,487	-	1,198,761	126,777	257,430	2,496,455
დაუმთავრებელი მშენებლობიდან გადმოტანა	-	-	1,064,450	-	(1,064,450)	-	-
31 დეკემბერი 2016	678,747	6,123,343	1,064,450	3,130,172	-	628,150	11,624,862
შემოსვლა	-	493,830	-	269,331	-	138,681	901,842
გასვლა	-	-	-	(15,850)	-	(31,841)	(47,691)
31 დეკემბერი 2017	678,747	6,617,173	1,064,450	3,383,653	-	734,990	12,479,013
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი 2016	-	(445,188)	-	(477,796)	-	(199,191)	(1,122,175)
ცვეთა	-	(294,161)	(193,608)	(326,394)	-	(70,676)	(884,839)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2016	-	(739,349)	(193,608)	(804,190)	-	(269,867)	(2,007,014)
ცვეთა	-	(311,308)	(213,273)	(502,680)	-	(81,866)	(1,109,127)
გასვლა	-	-	-	594	-	7,856	8,450
31 დეკემბერი 2017	-	(1,050,657)	(406,881)	(1,306,276)	-	(343,877)	(3,107,691)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2016	678,747	4,764,668	-	1,453,615	937,673	171,529	8,006,232
31 დეკემბერი 2016	678,747	5,383,994	870,842	2,325,982	-	358,283	9,617,848
31 დეკემბერი 2017	678,747	5,566,516	657,569	2,077,377	-	391,113	9,371,322

*შენობები მდებარეობს, თბილისში სამ სხვადასხვა ლოკაციაზე: ვაჟა-ფშაველას 83/11, კალოუზნის 12 და გობრონიძის 27. შენობების 28% გაცემულია იჯარით, კერძოდ: ვაჟა-ფშაველას 83/11 - 3,047 კვ.მ. 5,861.65 კვ.მ.-დან, კალოუზნის 12 - 72 კვ.მ. 2,544.46 კვ.მ.-დან და გობრონიძის 27 - 2,178 კვ.მ. 10,667.19 კვ.მ.-დან.

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მიწები და შენობები ჩადებული იყო მიღებული სესხების უზრუნველყოფაში.

შპს მედიკონ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

5. მარაგები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
სამედიცინო მარაგები და მედიკამენტები	732,910	398,982	96,607
გასაყიდი პროდუქტი	7,134	71,458	-
სხვა	9,044	14,717	4,070
	749,088	485,157	100,677

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ფინანსური მოთხოვნები			
მოთხოვნები სამედიცინო მომსახურების გაწევიდან:			
საყოველთაო დაზღვევიდან	1,393,282	930,627	495,895
სახელმწიფო სტრუქტურებიდან	225,348	34,613	2,658
სამედიცინო ორგანიზაციებიდან	77,931	17,651	25,109
სადაზღვეო კომპანიებიდან	35,768	126,002	48,015
ფიზიკურ პირებიდან	31,094	27,702	-
საიჯარო მოთხოვნები	313,149	193,589	38,914
სხვა მოთხოვნები	65,572	31,991	15,210
საექვო ვალების რეზერვი	(32,381)	-	-
	2,109,763	1,362,175	625,801
არაფინანსური მოთხოვნები			
გაცემული ავანსები	222,048	100,415	383,072
საექვო ვალების რეზერვი	(8,355)	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,323,456	1,462,590	1,008,873

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული ფინანსური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ვადადუმდგარი და გაუფასურების გარეშე	928,882	991,292	450,087
ვადაგადაცილებული და გაუფასურების გარეშე			
ვადაგადაცილება 1-30 დღე	441,957	130,118	131,026
ვადაგადაცილება 31-90 დღე	514,374	151,485	8,539
ვადაგადაცილება 91-180 დღე	119,992	24,562	14,641
ვადაგადაცილება 181-360 დღე	40,804	46,704	9,422
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	63,754	18,014	12,086
	1,180,881	370,883	175,714
ვადაგადაცილებული და ინდივიდუალურად გაუფასურებული	32,381	-	-
სულ ფინანსური მოთხოვნები გაუფასურებამდე	2,142,144	1,362,175	625,801

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-14 შენიშვნაში.

7. წინასწარ გადახდილი გადასახადები და საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად 2016 წლის 1 იანვრიდან ჯგუფის წევრებმა უნდა გადაიხადონ გადასახადი ერთიან საგადასახადო კოდექსს ეყვლება გადასახადისთვის. შედეგად, ჯგუფის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარდგენილია ნეტო ღირებულებით ჯგუფის თითოეული წევრის მიერ საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების სახით.

ჯგუფის მენეჯმენტმა შეაფასა საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული რისკები და შექმნა ანარიცხი ამ რისკებთან დაკავშირებით, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 360,000 ლარს.

დედა კომპანიის საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებული დეტალები განმარტებულია მე-16 შენიშვნაში.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	354,642	238,716	225,997
ნაღდი ფული	24,624	14,723	9,172
	379,266	253,439	235,169

ფულისა და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-14 შენიშვნაში.

9. მიღებული სესხები

	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
გრძელვადიანი				
ბანკები	4-12-2024	2,571,802	2,770,456	1,632,678
ფინანსური იჯარა	25-07-2021	158,193	8,785	-
		2,729,995	2,779,241	1,632,678
მოკლევადიანი				
ბანკები	4-12-2024	541,981	783,991	172,211
ფიზიკური პირები	მოთხოვნამდე	5,221,220	4,688,460	4,324,379
არაფინანსური ინსტიტუტები	მოთხოვნამდე	48,612	43,905	44,131
ფინანსური იჯარა	25-07-2021	67,371	1,781	-
		5,879,184	5,518,137	4,540,721
სულ მიღებული სესხები		8,609,179	8,297,378	6,173,399

ფიზიკური პირებისგან და ბანკისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით (დეტალები განმარტებულია მე-4 შენიშვნაში).

საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 10.5-12% ყველა სესხისთვის.

მიღებული სესხების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-14 შენიშვნაში.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1,078,570	1,138,716	669,749
გადასახდელი ხელფასები	429,256	104,231	32,709
სხვა ვალდებულებები	30,846	10,936	13,908
	1,538,672	1,253,883	716,366
არაფინანსური ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	48,872	22,424	9,371
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,587,544	1,276,307	725,737

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით გაშიფრულია მე-14 შენიშვნაში.

11. შემოსავალი

	2017	2016
შემოსავალი მიღებული:		
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან	5,125,015	3,933,686
ფიზიკური პირებისგან	3,553,132	2,788,244
სამედიცინო ორგანიზაციებისგან	438,948	196,369
სადაზღვევო კომპანიებისგან	130,379	197,386
პროდუქციის რეალიზაციიდან	119,770	32,016
სხვა	66,672	70,165
	9,433,916	7,217,866

12. სხვა შემოსავლები

	2017	2016
მედიკამენტების პრეზენტაციიდან	128,625	95,242
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	46,941	-
სხვა	13,037	3,274
	188,603	98,516

13. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2017	2016
კომუნალური ხარჯები	(341,646)	(301,260)
საოფისე ხარჯები და მცირეფასიანი ინვენტარი	(219,067)	(404,820)
საგადასახდო ხარჯები (გარდა მოგების გადასახადისა)	(174,844)	(127,088)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(138,376)	(69,709)
იჯარის ხარჯები	(131,180)	-
დაცვის მომსახურების ხარჯები	(97,619)	(28,237)
დასუფთავების ხარჯები	(52,879)	(39,126)
რემონტის ხარჯები	(48,126)	(59,080)
საკომუნიკაციო ხარჯები	(43,659)	(40,035)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(40,736)	-
ჯარიმები და საურავები	(16,475)	(29,652)
დამფინანსებლის მიერ დაკორექტირებული ანაზღაურებაზე	-	(373,659)
წარდგენილი მოთხოვნები		
სხვა	(192,767)	(188,939)
	(1,497,374)	(1,661,605)

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი
 - სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფისთვის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- ფული საბანკო ანგარიშებზე
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებებს ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის მენეჯმენტის მთავარი მიზანია შეიმუშაოს ისეთი პოლიტიკა, რომლიც უზრუნველყოფს შეამციროს რისკები მისაღებ დონემდე და ამასთანავე მისი გამოყენებით მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

საკრედიტო რისკის მართვას რისკების მართვაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იმისთვის რომ თავიდან იქნას აცილებული საკრედიტო რისკით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზარალი ჯგუფი იყენებს მათი იდენტიფიცირებისა და ეფექტური მართვის სხვადასხვა მეთოდებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ფული ბანკში	354,642	238,716	225,997
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,109,763	1,362,175	625,801

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტთან ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფს არ გააჩნია საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვლადობის გამო. ჯგუფისთვის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მისი წევრების ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	379,266	-	-	379,266
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,109,763	-	-	2,109,763
	2,489,029	-	-	2,489,029

ფინანსური ვალდებულებები

მიღებული სესხები	7,579,611	649,775	379,793	8,609,179
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,538,672	-	-	1,538,672
	9,118,283	649,775	379,793	10,147,851

ღია საბალანსო პოზიცია

	(6,629,254)	(649,775)	(379,793)	(7,658,822)
--	--------------------	------------------	------------------	--------------------

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	252,240	1,092	107	253,439
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,353,402	8,773	-	1,362,175
	1,605,642	9,865	107	1,615,614

ფინანსური ვალდებულებები

მიღებული სესხები	7,636,161	380,630	280,587	8,297,378
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,020,644	113,531	119,708	1,253,883
	8,656,805	494,161	400,295	9,551,261

ღია საბალანსო პოზიცია

	(7,051,163)	(484,296)	(400,188)	(7,935,647)
--	--------------------	------------------	------------------	--------------------

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	120,417	485	114,267	235,169
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	617,462	8,339	-	625,801
	737,879	8,824	114,267	860,970

ფინანსური ვალდებულებები

მიღებული სესხები	5,528,075	365,813	279,511	6,173,399
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	682,622	33,744	-	716,366
	6,210,697	399,557	279,511	6,889,765

ღია საბალანსო პოზიცია

	(5,472,818)	(390,733)	(165,244)	(6,028,795)
--	--------------------	------------------	------------------	--------------------

14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას აშშ დოლარისა და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი მოცემულია ცხრილში:

სავალუტო რისკებისადმი მგრძნობელობა	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016		1 იანვარი 2016	
	+20%	-20%	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის გავლენა მოგება/(ზარალი)	(129,955)	129,955	(96,859)	96,859	(78,147)	78,147
ევროს გავლენა მოგება/(ზარალი)	(379,793)	379,793	(80,038)	80,038	(33,049)	33,049

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ლიკვიდობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	379,266	-	-	379,266
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,109,763	-	-	2,109,763
	2,489,029	-	-	2,489,029
ფინანსური ვალდებულება				
მიღებული სესხები	5,879,184	2,467,066	262,929	8,609,179
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,538,672	-	-	1,538,672
	7,417,856	2,467,066	262,929	10,147,851
ლიკვიდურობის სხვაობა	(4,928,827)	(2,467,066)	(262,929)	(7,658,822)
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(4,928,827)	(7,395,893)	(7,658,822)	

14. ფინანსური ინსტრუმენტები რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	253,439	-	-	253,439
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,362,175	-	-	1,362,175
	1,615,614	-	-	1,615,614
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	5,518,137	2,170,239	609,002	8,297,378
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,253,883	-	-	1,253,883
	6,772,020	2,170,239	609,002	9,551,261
ლიკვიდობის სხვაობა	(5,156,406)	(2,170,239)	(609,002)	(7,935,647)
აკუმულირებული ლიკვიდობის სხვაობა	(5,156,406)	(7,326,645)	(7,935,647)	

ლიკვიდობის ანალიზი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	235,169	-	-	235,169
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	625,801	-	-	625,801
	860,970	-	-	860,970
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	4,540,721	1,076,917	555,761	6,173,399
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	716,366	-	-	716,366
	5,257,087	1,076,917	555,761	6,889,765
ლიკვიდობის სხვაობა	(4,396,117)	(1,076,917)	(555,761)	(6,028,795)
აკუმულირებული ლიკვიდობის სხვაობა	(4,396,117)	(5,473,034)	(6,028,795)	

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არის წარგდენილი შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი თითოეული კომპანიისთვის, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>დამფუძნებლები</u>	<u>საერთო კონტროლს ქვეშ</u>	<u>მეწილეთა ოჯახის წევრები</u>
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
მიღებული სესხები	963,054	48,612	4,258,166
სრული შემოსავლების ანგარიშგება			
საპროცენტო ხარჯი	(49,837)	(4,707)	(329,455)

ჯგუფსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>დამფუძნებლები</u>	<u>საერთო კონტროლს ქვეშ</u>	<u>მეწილეთა ოჯახის წევრები</u>
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
მიღებული სესხები	760,701	43,905	3,927,759
სრული შემოსავლების ანგარიშგება			
საპროცენტო ხარჯი	(53,947)	(4,776)	(341,000)

ჯგუფსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ნაშთები 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>დამფუძნებლები</u>	<u>საერთო კონტროლს ქვეშ</u>	<u>მეწილეთა ოჯახის წევრები</u>
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
მიღებული სესხები	737,602	44,131	3,586,777

უმაღლესი მმართველი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2017</u>	<u>2016</u>
- თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	231,824	368,811

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

- 2018 წლის 30 მარტს პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე გადაწყდა რომ რეორგანიზაციის შედეგად ჯგუფს გამოეყოს ცალკე კომპანია შპს „ბილდექსი“, რომელსაც შპს მედისონ ჰოლდინგისგან გადაეცემა ყველა შვილობილი კომპანიის წილი და ასევე აქტივები და ვალდებულებები რომლებიც არ იყო დაკავშირებული სამედიცინო პროფილთან. რეორგანიზაციის შედეგად შპს მედისონ ჰოლდინგი გააგრძელებს ფუნქციონირებას მხოლოდ სამედიცინო მიმართულებით. რეორგანიზაცია დასრულდა 2018 წლის 24 მაისს და პარტნიორთა შეთანხმების შედეგად ჯგუფისგან შპს ბილდექსს გადაეცა 2,684,070 ლარის ნეტო აქტივები.
- საქართველოს საგადასახადო ორგანომ დედა კომპანიის საგადასახადო შემოწმება დაიწყო 2016 წლის 29 აგვისტოს, რომელიც მოიცავს პერიოდს 2011 წლის 26 დეკემბრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე. 2018 წლის 12 დეკემბერს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე დედა კომპანიას დაეკისრა 358, 472 ლარის გადასახადი. შემოსავლების სამსახურთან ჯგუფი აგრძელებს დავას რომ შეამციროს დაკისრებული გადასახადის მოცულობა.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მედიონ ჰოლდინგის მენეჯმენტს და დამფუძნებლებს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ ჩართულები ვიყავით შპს მედიონ ჰოლდინგის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის აუდიტში, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ინფორმაციაზე. მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის აზრადში მოცემული საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჯგუფს არ ჩაუტარებია 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ინვენტარიზაცია. ჯგუფის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულებები მარაგების რაოდენობების და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მარაგები ზემოთ მოცემული თარიღებისთვის წარმოდგენილია შესაბამისად 749, 088, 485, 157 და 100, 677 ლარის ღირებულებით. ამ გარემოების გამო, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ჯგუფს არ ჩაუტარებია 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები ინვენტარიზაცია. ჯგუფის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების რაოდენობების და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები ზემოთ მოცემული თარიღებისთვის წარმოდგენილია შესაბამისად 2, 468, 490, 2, 684, 265 და 1, 625, 144 ლარის ღირებულებით. ამ გარემოების გამო, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითადი საშუალებებთან და მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ჯგუფმა ვერ მოგვაწოდა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაცია ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო მტკიცებულებები ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შეადგენს 8, 006, 232 ლარს. ამ გარემოების გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ჯგუფის

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

როგორც მე-4 შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფი მიწების და შენობების მნიშვნელოვან ნაწილს იყენებს საიჯარო შემოსავლების მისაღებად. ბასს 40-ის მოთხოვნების შესაბამისად ჯგუფი არ წარადგენს ასეთ აქტივებს საინვესტიციო ქონებად, რაც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან გადახვევას. აქედან გამომდინარე, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ძირითად საშუალებებთან და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით შევძელით მიგვეღო შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთის დასადასტურებლად, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ასახულია შესაბამისად 1,747,397, 760,860 და 741,783 ლარის ღირებულებით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ამ თანხებთან და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით შევძელით მიგვეღო შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთის დასადასტურებლად, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ასახულია შესაბამისად 622,312, 1,276,307 და 725,737 ლარის ღირებულებით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება ამ თანხებთან და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

ჯგუფს არ აქვს დანერგილი სათანადო შიდა კონტროლის პროცედურები გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. კერძოდ, შიდა კონტროლი პროცედურები არ ანეიტრალებს გაწეული, მაგრამ აღურიცხავი მომსახურების რისკს. აქედან გამომდინარე, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება აღურიცხავ შემოსავლებთან და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.

ჯგუფმა ვერ მოგვაწოდა დეტალური კალკულაცია და შესაბამისი დოკუმენტები პერსონალის სახელფასო ხარჯის დარიცხვასთან დაკავშირებით, რომელიც სრული შემოვლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახულია 2,669,658 და 4,579,046 ლარის ღირებულებით 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, შესაბამისად. ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით ვერ შევძელით მიგვეღო შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები პერსონალის სახელფასო ხარჯის დარიცხვასთან დაკავშირებით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება პერსონალის სახელფასო ხარჯის და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის ფორმირებაში.

როგორც ეს წარდგენილია მე-6 შენიშვნაში, ჯგუფი 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ფლობდა ვადაგადაცილებულ მოთხოვნებს ჯამური ღირებულებით შესაბამისად 1,180,880, 370,883 და 175,714 ლარის. ჯგუფს არ ჩაუტარებია ვადაგადაცილებული მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი და არ

შეუფასებია შესაბამისი გაუფასურების რეზერვი, რაც წარმოადგენს გადახვევას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება მოთხოვნების და იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.


აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თუმცა, მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ამსახველ აბზაცში აღწერილი საკითხის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

„ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)



შპს „ზიდოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

17 დეკემბერი, 2018 წელი

შპს მედიჰოლ ჰოლდინგი და მისი შვილობილი კომპანიები
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	9,371,322	9,617,848	8,006,232
არამატერიალური აქტივები		29,991	21,533	15,203
		<u>9,401,313</u>	<u>9,639,381</u>	<u>8,021,435</u>
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	5	749,088	485,157	100,677
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,323,456	1,462,590	1,008,873
წინასწარ გადახდილი გადასახადები	7	126,046	193,077	343,039
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	379,266	253,439	235,169
		<u>3,577,856</u>	<u>2,394,263</u>	<u>1,687,758</u>
სულ აქტივები		12,979,169	12,033,644	9,709,193
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		3,827,186	3,832,186	3,832,186
გაუნაწილებელი მოგება		(1,797,880)	(2,497,205)	(2,414,169)
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი		2,029,306	1,334,981	1,418,017
არამაკონტროლებელი წილი		(9,460)	523,783	752,037
სულ კაპიტალი		2,019,846	1,858,764	2,170,054
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9	5,879,184	5,518,137	4,540,721
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,587,544	1,276,307	725,737
საგადასახადო ვალდებულებები	7	402,600	241,195	280,003
ანარიცხები	7	360,000	360,000	360,000
		<u>8,229,328</u>	<u>7,395,639</u>	<u>5,906,461</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	9	2,729,995	2,779,241	1,632,678
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12,979,169	12,033,644	9,709,193

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 17 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

თამარ ბუწაშვილი

ბექა ანდრიაძე

10 - 29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.